



„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ 2009 წლის „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ შედეგებს აქვეყნებს

- 2005 და 2007 წლების მსგავსად, 2009 წელს გამოკითხულმა საქართველოს მოქალაქეებმა დემოკრატიულ ინსტიტუტებს შორის ყველაზე ნაკლები ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ გამოთქაეს
- ზოგადად, სელისუფლების მიერ ანტიკორუფციული მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯები გამოკითხულთა 57%-მა დადებითად შეაფასა

სასწრაშოდ ბავრცველებსთვის: 3 ივნისი, 2009 წ.

თბილისი, საქართველო – დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ბერლინის ოფისმა (სამდივნომ) საერთაშორისო კვლევის – „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ – 2009 წლის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევა 69 ქვეყანაში ჩატარდა და მასში მონაწილეობა თნუთმეტ წელს გადაცილებულმა 73 132-მა რესპონდენტმა მიიღო.

„გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ მიზანია განსაზღვროს, (ა) მოქალაქეების შეფასებით, მათ ქვეყნებში რამდენად გავრცელებულია კორუფცია ისეთ მნიშნელოვან სფეროებში, როგორცაა სასამართლო, მედია, პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, საჯარო სამსახური და კერძო სექტორი, (ბ) როგორ აფასებენ ისინი სელისუფლების მიერ წარმოებულ ანტიკორუფციულ კამპანიას, (გ) რამდენად ხშირად უწევთ ქრთამის გადახდა და (დ) რამდენად არიან მზად, რომ პროდუქცია შედარებით მეტ ფასად იმ კომპანიებისგან შეიძინონ, რომლებიც გამჭვირვალე და სუფთა ბიზნესს ეწევა.

„გლობალური კორუფციის ბარომეტრი“ საქართველოში

საქართველოს მოქალაქეების აზრით, საქართველოში კორუფციის პრობლემა ყველაზე მწვავედ სასამართლო სისტემაში დგას. ეს სისტემა 2005 და 2007 წლებში ჩატარებულ „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ კვლევებშიც ყველაზე პრობლემურად დასახელდა. 2009 წლის მაჩვენებლით საქართველო ცენტრალური აზიისა და ევროპის ქვეყნებს შორის ბოლოდან მესრუე ადგილზე გავიდა. სასამართლოს მიმართ დადებითი დამოკიდებულება მწილოდ 14%-მა, ხოლო მკვეთრად უარყოფითი – 37%-მა გამოხატა.

დანარჩენ სფეროებს შორის ადგილები შემდეგნაირად განაწილდა (ყველაზე კორუმპირებულიდან ყველაზე ნაკლებად კორუმპირებულამდე) : საჯარო სამსახური (ძალიან კორუმპირებული – 21%-ის აზრით), პარლამენტი (16%), პოლიტიკური პარტიები (12%), კერძო სექტორი (9%) და მედია (6%).

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე პრობლემური სფეროს შეფასება ბოლო წლების განმავლობაში არ შეცვლილა, სელისუფლების ზოგადი ანტიკორუფციული საქმიანობასთან მიმართებაში, 2007 წელთან შედარებით, 2009 წელს საზოგადოების განწყობა უფრო პოზიტიური გახდა. 2007 წელს სელისუფლების ანტიკორუფციულ ნაბიჯებს ძალიან ან მეტნაკლებად ეფექტურად რესპონდენტთა 34% თვლიდა, 2009 წელს იგივე მისაზრება 57%-მა გამოთქვა. ამ მაჩვენებლით საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, პოლანდიისა და მაკედონიის შემდეგ, მესამე ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება კვლევის ბოლო ორ საკითხს, 2009 წელს ქრთამის გადახდა გამოკითხულ საქართველოს მოქალაქეთა 2%-ს მოუწია, ხოლო – უფრო გამჭვირვალე და სუფთა ბიზნესის მხარდაჭერისთვის პროდუქციის შედარებით მაღალ ფასში შესყიდვაზე მზადყოფნა 37%-მა გამოთქვა.

კვლევაში დასმულ ყველა კითხვაზე ქართველ რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი „არ ვიცის“ ან „პასუხზე უარს“ ირჩევდა. ამ პასუხების სისწორით საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

„მისასაღმებელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებისგან ქრთამის გამოძახვის შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო და რომ ანტიკორუფციული კამპანია საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს, – აღნიშნა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა თამუნა ქაროსანიძემ, – თუმცა, სასამართლო ხელისუფლება, რომელსაც მოქალაქეების ნდობა არა აქვს, არა მხოლოდ ანტიკორუფციული კუთხით დღემდე მიღწეულ შედეგებს, არამედ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივასაც უქმნის სერიოზულ საფრთხეს. სასამართლო სისტემის რეფორმა რეალურად უნდა იქცეს ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრეს პრიორიტეტად და რეფორმის წარმატება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუწყობს ის ხელს სასამართლოს მიმართ მოქალაქეების ნდობის განმტკიცებას“.

საქართველოში 2009 წლის „გლობალური კორუფციის ბარიომეტრის“ კვლევა, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ დაკვეთითა და ინსტრუქციის შესაბამისად, Gallup International-ის პარტნიორმა ორგანიზაციამ – გორბიმ – ჩატარა. კვლევა 2009 წლის 29 იანვრიდან ამავე წლის 9 თებერვლამდე პერიოდში, ე.წ. პირისპირ ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით ჩატარდა. მასში მონაწილეობა 1,400-მა რესპონდენტმა მიიღო.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ერთ-ერთ ბიუროს. მისი ოფისი საქართველოში დაარსდა 2000 წლის 7 მაისს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით, ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და საქართველოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად ის სწავლობს სწავლას სფეროში კორუფციის გავრცელების დონეებს, მათ გამოძვევებ მიზეზებს, ამ მიზეზების აღმოფხვრის მექანიზმებს და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის ხელისუფლებას და საზოგადოებას. გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოს მოქალაქეებს აცნობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონებს, დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ სიახლეებს და სწავა მნიშვნელოვან ინფორმაციას; იკვლევს საერთაშორისო გამოცდილებას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც დღეს აქტუალურია საქართველოში; ახორციელებს სახელმწიფო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების შესრულების მონიტორინგს და სარგებების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას აწვდის ხელისუფლებას და მოსახლეობას; ეწევა სწავა საქმიანობას, რომელიც ასევე მიმართულია ქვეყანაში კორუფციის დაძლევისკენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს სწავა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასშედის წარმომადგენლებთან, ხელისუფლებასთან და საქართველოს მოქალაქეებთან.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ არის კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. მოძრაობა აერთიანებს 90-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იკვლევს მსოფლიოში კორუფციის გამომწვევ მიზეზებს და მის შედეგებს, და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით, დაძლეულ იქნას სიღარიბის პრობლემა. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებასა და მხარეების მიერ მათი შესრულების მონიტორინგში. ცალკეული ქვეყნების დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით. ეროვნული ბიუროები იკვლევენ კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყნის შიგნით და შეიმუშავენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისკენ. „კორუფციის აღქმის ინდექსისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სხვა კვლევების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.transparency.ge.

პრესასთან საკონტაქტო პირი: ნანა ლობჯანიძე
(995 32) 92 14 03

nana@transparency.ge